






# თავსადატი მუსლიმი ქალების კუთვლდდიუტმში





# თავსათვადი მუსლიმი ქალების ყურადღებულ რეკომენდაციებში



სოლიდარობის თემა  
2022



# ევროკავშირი საქართველოსთვის



კომუნიკაციის მუდმივადი უზრუნველყოფის (EU) და გაერთიანებული ერების პრაქტიკის (UNDP) მხარდაჭერით. მის მინიჭების სტრატეგია პასუხისმგებელია “სოლიდარობის თემა” და შესაძლებელია, რომ იგი ახლ გაერთიანებული ერების უზრუნველყოფის და გაერთიანებული ერების პრაქტიკის შესრულებას.

**კვლევის ავტორი:** თორნიკე აბულაძე

**ასისტენტი:** ლელა დეკანაძე

**რედაქტორი:** მარიამ ხალვაშვილი

**ყდა და დიზაინი:** მინა რიშვაძე

**ფოტო:** ჯურიე აბაშიძე

სოლიდარობის თემა

<https://solidaritycommunity.ge/>  
[Solidaritycommunityinfo@gmail.com](mailto:Solidaritycommunityinfo@gmail.com)

## შინაარსი

შესავალი.....	5
არსებული კვლევების მიმოხილვა.....	7
საბურველი და მისი აღქმა დასავლურ კულტურაში .....	13
მეთოდოლოგია .....	15
შერჩევა .....	16
შეზღუდვები .....	18
კვლევის ძირითადი მიგნებები.....	19
<i>მუსლიმი ქალების თვითაღქმა და თავსაფრის ტარების პრაქტიკა .....</i>	<i>19</i>
<i>სოციალური სივრცეები თავსაფრიანი ქალებისთვის.....</i>	<i>21</i>
<i>საგანმანათლებლო სივრცეები თავსაფრიანი მუსლიმი ქალებისთვის.....</i>	<i>24</i>
<i>დასაქმების სივრცეები თავსაფრიანი ქალებისთვის .....</i>	<i>28</i>
<i>ქალების გამოცდილებები მუნიციპალურ და ქალაქურ პირობებში .....</i>	<i>31</i>
დასკვნა.....	32
ბიბლიოგრაფია.....	35

## შესავალი

საქართველოში მცხოვრები ქალების ყოველდღიურობა სხვადასხვაგვარია; ერთმანეთისგან განსხვავებულია როგორც ქალაქში, ისე მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ქალების გამოწვევები. სხვადასხვაგვარია აჭარაში მცხოვრები ქალების ყოველდღიურობა, რადგან კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალზე განსხვავდება ქალების ყოფაცხოვრება კლასის, განათლების, რელიგიის, კულტურის მიხედვით. შესაბამისად, აჭარელი მუსლიმი ქალების პრაქტიკები და ცხოვრების სტილი განსხვავდება სხვა რეგიონში თუ დედაქალაქში მცხოვრები ქალების ყოველდღიურობისგან. აღნიშნული კვლევა მიმართულია აჭარაში მცხოვრები თავსაფრიანი მუსლიმი ქალების გამოცდილებების შესწავლისკენ.

მუსლიმი თემი საუკუნეებია საქართველოში ერთ-ერთ არადომინანტურ რელიგიურ უმრავლესობას წარმოადგენს. მუსლიმი თემის წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ცხოვრობენ, თუმცა, ქართველი მუსლიმები, მეტწილად, დასახლებულნი არიან გურიაში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში და აჭარის რეგიონში. საქართველოში კულტურათა და სოციალური თანაცხოვრების მრავალმხრივი პრაქტიკების ინტერაქცია მკვეთრად აისახა სხვადასხვა ჯგუფზე, მათ შორის მუსლიმ ქალებზე.

ხშირად მასკულინური კულტურა წარმოქმნის სხვადასხვა სახის სტერეოტიპს ქალების მიმართ, რაც საწინდარია სტიგმების ჩამოყალიბებისა და შემდგომი გავრცელებისთვის. მუსლიმური იდენტობა საქართველოში მარგინალიზებულია, რის გამოც თავსაფრიანი მუსლიმი ქალების მიმართ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი, მეტწილად ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს.

როგორც ყველა თემი, მუსლიმი თემიც გამოირჩევა არაერთგვაროვნებითა და მრავალფეროვნებით, მათ შორის არიან აჭარელი თავსაფრიანი მუსლიმი ქალები. მეტწილად თავსაფრიანი ქალები ცხოვრობენ მუნიციპალიტეტებში, თუმცა

ახალგაზრდა თავსაფრიანი ქალები განათლების მიღების, დასაქმების, კულტურული სივრცეების თუ სხვა მიზეზების გამო ქალაქში გადადიან. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მცხოვრებ აჭარელ თავსაფრიან ქალებს სხვაგვარი გამოწვევები აქვთ. აშკარაა, რომ თავსაფარი - როგორც ატრიბუტი - ხშირად, საზოგადოების მხრიდან მუსლიმი ქალების გარიყვის საფუძველია. ამ ყველაფერს კი ემატება სხვა სოციალური და კულტურული პრობლემებიც.

ყოველდღიური, პირველადი დაკვირვებით, შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში გენდერული როლები კაცსა და ქალს შორის შემდეგნაირადაა გადანაწილებული: *ქალები მეტწილად დაკავებულნი არიან საოჯახო საქმიანობით, ხოლო კაცები დასაქმებულნი არიან ანაზღაურებად სამსახურებში. ამას გარდა, ზოგადი დაკვირვებით, მარტივადაა შესაძლებელი თავსაფრიანი მუსლიმი ქალების ზოგადად საზოგადოებასა და დასაქმების სივრცეებში ნაკლები ხილვადობის პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება.* თუმცა, საგანმანათლებლო, ძირითადად, საუნივერსიტეტო სივრცეებში, ვხვდებით მუსლიმ თავსაფრიან ქალებს.

სწორედ თავსაფრიანი მუსლიმი ქალების სოციალური უხილავობა გახდა აღნიშნული კვლევის ინსპირაცია. მასზე დაფუძნებით კი გვინდოდა შეგვექმნა ახალი ცოდნა, თუ რა გამოწვევებსა და შეხედულებებს აწყდებიან ქალები თავსაფრის ტარების გამო სხვადასხვა ადგილზე, იქნება ეს სამუშაო, საგანმანათლებლო თუ სხვა სოციალური სივრცეები.

წინამდებარე კვლევის მიზანია აჭარაში მცხოვრები 18-30 წლის ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი მუსლიმი ქალების გამოწვევების შესწავლა თავსაფრის ტარებასთან დაკავშირებით სოციალურ, საგანმანათლებლო და დასაქმების სივრცეებში.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მუსლიმი თავსაფრიანი ქალების ცხოვრებისეული გამოცდილებების შესწავლა ქალაქსა და მუნიციპალიტეტებში ცხოვრების დროს; საინტერესოა, არის თუ არა მათ შორის განსხვავებები, რა დამოკიდებულებებს აწყდებიან ისინი სხვადასხვა გარემოსა და სივრცეში. აქედან

გამომდინარე, კვლევის მიზნების მისაღწევად, დავიწროვდა სამიზნე ჯგუფი და შეირჩა მუსლიმი თავსაფრიანი ქალები.

რადგან თავსაფრიან მუსლიმ ქალებში არსებობს სხვადასხვა სეგმენტი და, შესაბამისად, მათი გამოცდილებებიც განსხვავებულია, ამის გამოსაკვეთად, კვლევის მიზნებისთვის შეირჩა: დაოჯახებული, დაუოჯახებელი, განათლების მიღების პროცესში მყოფი, ანაზღაურებად სამსახურში დასაქმებული, უმუშევარი, შინშრომით დაკავებული, შვილიანი და უშვილო ქალები. ამასთან, შესაძლებელია, ეს ინდიკატორები ერთმანეთს აერთიანებდეს.

თავსაფრიანი ქალების გამოცდილებების სიღრმისეულად შესასწავლად, კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მიდგომა. სულ, ჯამში, ჩატარდა 14 სიღრმისეული ინტერვიუ. რესპონდენტები ცხოვრობენ ქალაქ ბათუმსა და ხულოს მუნიციპალიტეტში.

## არსებული კვლევების მიმოხილვა

ამ თავში მიმოხილულია არსებული კვლევები ქალების ყოველდღიურობაზე, რეგიონალურ კონტექსტში. ქვემოთ განხილული კვლევები შეეხება მუსლიმ ქალებსა და მათ ყოველდღიურობას. ამიტომ, ლიტერატურაში მიმოხილულია აჭარის რეგიონის შესახებ არსებული კვლევები, რადგან აჭარის ოთხ მუნიციპალიტეტში (ხელვაჩაური, ქედა, შუახევი და ხულო) მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმი აღმსარებლობისაა (სამსახური ს. ს., 2014). სწორედ ამიტომ, ეს კვლევები ქალების გამოცდილებებისა თუ გამოწვევების საილუსტრაციოდ იქნება წარმოდგენილი, რადგან, ვიწრო გაგებით, კვლევა მიემართება აჭარაში არსებული მუსლიმი თავსაფრიანი ქალების მდგომარეობის შესწავლას.

2014 წელს სოციალური მეცნიერებათა ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევაში - „ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოს მაკროეკონომიკის რეგიონებში“, ასევე

ნათლადაა წარმოჩენილი სხვადასხვა ტენდენცია დასაქმებასთან, ოჯახში ეკონომიკური ფაქტორის დანაწილებასთან, განათლების წვდომასა და სტერეოტიპებთან დაკავშირებით. აღსანიშნია კვლევაში არსებული მდგომარეობა (გრაფიკი N 3.1, გვ 10), სადაც დაუსაქმებელი ადამიანები, რომლებსაც არ სურთ სამსახურის დაწყება (7%) და თვითდასაქმებული პირები, რომლებიც არ იღებენ ფულად შემოსავალს (12%) - არიან ქალები (გაფრინდაშვილი & ბენდელიანი, 2014). ეს შეიძლება აიხსნას შინშრომით და სამეურნეო საქმეებით დაკავებული ქალების ყოველდღიურობით. მეტწილად, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში ქალები დაკავებულნი არიან სოფლის მეურნეობითა და ოჯახის წევრებზე ზრუნვით. შესაძლოა, ეს იყოს ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ქალებს ნაკლები დრო აქვთ დასაქმდნენ ანაზღაურებად სამსახურში. ამას გარდა, ხშირად სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზებას ახდენენ კაცები, ამას ემატება ფულის განკარგვის და გადანაწილების საკითხში არსებული შეხედულებები, რომელიც კაცების „მოვალეობადაა“ აღქმული. ამრიგად, ქალები ნაკლებად არიან დასაქმებული ანაზღაურებად სამსახურში და ნაკლებად აქვთ ფულთან კავშირი (აბულაძე, 2021, გვ. 21). ამგვარი მდგომარეობა ქალებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, უკარგავს მოტივაციას, იცხოვრონ და დასაქმდნენ მთიან რეგიონებში.

აქვე უნდა აღინიშნოს ამავე კვლევაში არსებული საინტერესო მიგნება, რომელიც აღნიშნავს ქალების ჩართულობას საოჯახო საქმიანობაში. განათლების მიღებისთვის ქალაქში წასული გოგონები, რომლებიც ბრუნდებიან ოჯახში, იშვიათად საქმდებიან სხვადასხვა დაწესებულებებში (კერძო სექტორი), ყველაზე იშვიათად კი საჯარო სამსახურში (გაფრინდაშვილი & ბენდელიანი, 2014, გვ. 13). შესაძლოა ამის განმაპირობებლად განვიხილოთ ოჯახში შინშრომის მძიმე პირობები და საჯარო სექტორში არსებული მაღალი ნეპოტიზმი. მთიან მუნიციპალიტეტებში იშვიათად შევხვდებით ვაკანსიებს საჯარო უწყებებში, არსებობის შემთხვევაში კი ის ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ამასთანავე, შეიძლება განვიხილოთ, თუ რატომ არ სურთ 18-24 (54 %) და 25-34 (41 %) წლის ადამიანებს მთიან რეგიონებში, წარმოშობის ადგილზე დარჩენა და ცხოვრების გაგრძელება (გრაფიკი N 4.5). მეტწილად მუნიციპალიტეტებში არ არის სამუშაო სივრცეები, უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცეები არის ქალაქებში, ასევე გასართობი სივრცეების ნაკლებობაცაა, რის გამოც ახალგაზრდები ამჯობინებენ ქალაქში ცხოვრებას. აღსანიშნია გოგონების შეხედულებები, რომ მათ სურთ რეგიონისგან შორს, სხვა ქალაქში გააგრძელონ ცხოვრება, რადგან იქ შეძლებენ განათლების მიღებას და დასაქმების უფრო მეტი შესაძლებლობაც ექნებათ (გაფრინდაშვილი & ბენდელიანი, 2014, გვ. 19).

სტერეოტიპულ ტენდენციებს ვხვდებით ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა (ქალების 39% და კაცების 50%) ფიქრობს, რომ ვაჟს უნდა გადაეცეს ოჯახის ქონება. აღნიშნული მიუთითებს იმ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებზე, რომლის განხორციელებაც პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია და პრობლემურიცაა (გაფრინდაშვილი & ბენდელიანი, 2014, გვ. 19). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მთიან რეგიონებში მცხოვრები ქალების მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ არსებული სოციალური უთანასწორობაა.

სოლიდარობის თემის მიერ 2021 წელს ჩატარებულ თვისებრივ კვლევაში - „მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები ქალების გამოწვევები კოვიდ პანდემიის პირობებში“ - აღწერილია ანაზღაურებად და საშინაო შრომით დაკავებული ქალების ყოველდღიურობა. აღნიშნულ კვლევაში გადმოცემულია სამ მუნიციპალიტეტში (ქედა, შუახევი და ხულო), როგორც დაბაში, ისე სოფლებში მცხოვრები ქალების გამოცდილებები.

როგორც ირკვევა, საშინაო შრომით დაკავებული ქალების უმეტესობას სურს ანაზღაურებად სამსახურში დასაქმება, თუმცა, როგორც თავად ამბობენ, არ არის საკმარისი სამუშაო ადგილი, რომ შეძლონ დასაქმება და დარჩენა (აბულაძე, 2021, გვ. 33). რაც შეეხება განათლების მიღების საკითხს, რესპონდენტების უმრავლესობას აქვს

საშუალო განათლება მიღებული, ხოლო უმაღლესი განათლების საფეხური დასრულებული აქვს გამოკითხული 19 რესპონდენტიდან მხოლოდ 3 მათგანს (აბულაძე, 2021, გვ. 31). სწავლის გაგრძელების ხელისშემშლელ ძირითად ფაქტორად გამოიკვეთა ეკონომიკური მდგომარეობა. ასევე, ნაადრევი ქორწინებაც შეიძლება იყოს სწავლის გაგრძელების ხელისშემშლელ ფაქტორად დასახელებული, რადგან გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობა 35-55 წლის კატეგორიას განეკუთვნება, ხოლო ათწლეულების წინ, საკმაოდ გავრცელებული იყო არასულწლოვანთა ქორწინება.

შრომასთან არსებულ გამოცდილებებზე და ქალების ყოველდღიურობაზე საუბრისას საინტერესოა სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ 2021 წელს ჩატარებული კვლევის მიმოხილვა „საქართველოში მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა“. შრომის და განათლების საკითხებთან დაკავშირებით საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე ქალები ამბობენ, რომ კაცებთან შედარებით მათ სამსახურის პოვნა ძალიან უჭირთ (შალვაშვილი, 2021, გვ. 32). აღნიშნული შეიძლება განპირობებული იყოს დატვირთული საოჯახო შრომით და მუნიციპალიტეტებში ნაკლები სამუშაო ადგილებით. აჭარის მუნიციპალიტეტებში შესაძლებელია საბანკო, საჯარო (მერია, რესურსცენტრი, სკოლები და ბაღები) და კერძო სექტორში (მაღაზიები და სარესტორნო სივრცე) დასაქმება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სივრცეებიც მხოლოდ დაბეზშია განთავსებული, სოფლად მცხოვრები ადამიანები საკმაოდ დაშორებული არიან სამუშაო გარემოს, ამიტომ ნაკლებად არიან დასაქმებულნი ანაზღაურებად სამსახურში.

როგორც ვიცით, აჭარაში მულტირელიგიური გარემოა, მთიან მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა არის მუსლიმი. მუსლიმები ყველა მუნიციპალიტეტში ცხოვრობენ, მათ შორის ქალაქ ბათუმშიც. მართლმადიდებელი კონფესიის მრევლი მეტწილად დასახლებულია ბათუმში და მიმდებარე მუნიციპალიტეტებში, ხშირია მათგან წამოსული ნეგატიური დამოკიდებულებები,

რომელიც მუსლიმი თემის მიმართულებითაა გამოყენებული. ამის გამო აჭარელ მუსლიმებს უწოდებენ „თათრებს“. აღნიშნული კვლევიდან იკვეთება, რომ მუსლიმი ქალების მიმართ ვლინდება რელიგიური იდენტობის გამო დისკრიმინაციული დამოკიდებულებები. მათ შორის, გვხვდება დამსაქმებლების მხრიდან შრომის ბაზარზე მუსლიმი თავსაფრიანი ქალების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა. ერთ-ერთი რესპონდენტი სკოლაში მასწავლებლად არ აიყვანეს მუსლიმური მრწამსის გამო, მეორე კი დამსაქმებელმა ჰიჯაბის ტარების გამო არაშრომისუნარიანად მიიჩნია (შალვაშვილი, 2021, გვ. 33).

არასრული საშუალო ან საშუალო განათლების მქონე მუსლიმი ქალები აცხადებენ, რომ ფინანსური პრობლემების, დაოჯახების და გავრცელებული სტერეოტიპების გამო, არ აქვთ სრულად მიღებული განათლება და მეტიც - უმაღლეს სასწავლებელში ვერ გააგრძელეს სწავლა (შალვაშვილი, 2021, გვ. 57). აჭარაში, წლების წინ, საკმაოდ ხშირი იყო არასრულწლოვანთა ქორწინება, სწორედ ამის გამო მათ ხშირად უჭირდათ სკოლის დასრულება. ხშირად, ამას თან ერთვოდა ოჯახში ფინანსური პრობლემები, რის გამოც მხოლოდ ბიჭ შვილს აძლევდნენ მშობლები უფლებას, მიეღოთ უმაღლესი განათლება. აღნიშნული შერჩევა კი განპირობებულია მასკულინური კულტურისგან, რომელიც კაცს უფრო პრივილეგირებულს წარმოაჩენს.

აგრეთვე, ამავე კვლევაში ყურადღება გამახვილებულია საგანმანათლებლო სივრცეში მუსლიმი ქალების გამოწვევებზე; ერთ-ერთი რესპონდენტი ყვება შვილის კერძო სკოლაში შეყვანის გადაწყვეტილების შესახებ, რადგან თავიდან აერიდებინა შვილის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებები მუსლიმური იდენტობის გამო.

კვლევიდან ვიგებთ, რომ სკოლებსა და უნივერსიტეტებში მასწავლებლების და ლექტორების მხრიდანაც გვხვდება დისკრიმინაციული დამოკიდებულებები მუსლიმი მრევლის მიმართ მაშინ, როცა ისინი ხმამაღლა აფიქსირებენ საკუთარი რელიგიური იდენტობის შესახებ (შალვაშვილი, 2021, გვ. 63). ასევე, ახალგაზრდები ხშირად მალავენ რელიგიურ მრწამსს, რათა თავიდან აირიდონ ნეგატიური

დამოკიდებულებები. ჰიჯაბიანი მუსლიმი ქალები კი, ვერ მალავენ იდენტობას, რის გამოც ყველაზე ხშირად მათ მიმართ შეიმჩნევა ნეგატიური დამოკიდებულებები.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ მომზადებულ ერთ-ერთ სტატიაში - „მაღალმთიანი აჭარის მუსლიმი ქალები“<sup>1</sup>, საუბარია აჭარაში არსებულ მდგომარეობაზე, სადაც მუსლიმი ჰიჯაბიანი ქალების წინაშე არსებულ გამოწვევებზეა ყურადღება გამახვილებული. სტატიაში გადმოცემულია თავსაფრიანი ქალების აღქმაზე, რომელიც კავშირიშია მათ ყოველდღიურობასთან და საზოგადოებაში არსებულ დამოკიდებულებებზე.

სტატიის მიხედვით, მუსლიმმა რესპონდენტებმა გამოსცადეს სხვადასხვა სახის დამამცირებელი დამოკიდებულებები. ერთ-ერთი რესპონდენტის მონაყოლიდან ვიგებთ: „სწავლის დროს მან თავსაფარზე საკუთარი გამოცდილება გაიხსენა: ფუ რას გავს! რა შოძონძილია! ზოგს შესაცოდი და დასაცინი ვგონივარ და დამცინის. არ ვიცი, დასაცინი რა მჭირს“. ამავე სტატიაში სხვა მუსლიმი ჰიჯაბიანი ქალები საუბრობენ საზოგადოებაში არსებულ დამამცირებელ კომენტარებზე, რომელსაც თან ახლავს შეცოდების გრძნობა. სტატიაში გადმოცემული ნარატივები აღწერს, რომ მსგავსი დამოკიდებულებები ქალებისთვის შეურაცხმყოფელია.

აღნიშნული კვლევები გვაძლევს საშუალებას, ერთი მხრივ, დავინახოთ გენდერული ასპექტები ქართულ კულტურაში, თუ რა სტერეოტიპები და სტიგმები არსებობს და როგორ აისახება ეს ქალების ცხოვრებაზე. ასევე, თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილია სხვადასხვა სივრცეში არსებული სტატისტიკური მდგომარეობა გენდერულ ასპექტებთან მიმართებით, დასაქმების ბაზარზე თუ საგანმანათლებლო სივრცეებში. ამასთანავე, განხილულია მუსლიმ ქალებთან მიმართებით არსებული კვლევები, რაც გვაძლევს საშუალებას, რეგიონალურ ჭრილში დავინახოთ მუსლიმი ქალების წინაშე მდგარი ტენდენციური გამოწვევები.

---

<sup>1</sup> <https://bit.ly/3INYZWN>

სოციალური, საგანმანათლებლო და სამუშაო სივრცეები ადამიანის ყოველდღიურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალიზაციის ადგილებია, სწორედ ამით იქნა განპირობებული კვლევისას აღნიშნულ სამ სივრცეზე აქცენტის გაკეთება. ამასთან, თავსაფრის ტარების გამო ხშირია წინასწარი განწყობები და ნეგატიური დამოკიდებულებები საზოგადოებაში, სწორედ ამიტომ დაისახა კვლევის მიზნად მუსლიმი თავსაფრიანი ქალების აღქმების შესწავლა.

## საბურველი და მისი აღქმა დასავლურ კულტურაში

აუცილებელია საკვლევ თემასთან რელევანტური სტატიის განხილვაც, რომელიც თავსაფრიანი ქალების მიმართ არსებულ დამოკიდებულებებს ეხმიანება. ამისთვის განხილული იქნება ჰომა ჰუდფარის ნაშრომი „საბურველი მათ გონებაში და ჩვენს თავებზე: თავის დაფარვის პრაქტიკები და მუსლიმი ქალები“. აღნიშნულ სტატიაში ნათლადაა გადმოცემული ის ხედვები და წარმოდგენები, რაც თავსაფრიანი ქალების მიმართ არსებობს დასავლურ კულტურაში. თავდაპირველად საუბარი იწყება საბურველის წარმოშობასთან დაკავშირებით, სადაც ვიგებთ ახლოაღმოსავლური დაპყრობითი ომები ისტორიას. კულტურული სინთეზი ყოფილა ქალებისთვის ახალი ატრიბუტის, თავსაფრის გაჩენის საწყისი (ჰუდფარი, გვ.5).

ავტორი აკრიტიკებს დასავლურ კულტურაში ფესვგადგმულ ნარატივებს, რომ თითქოს თავსაფრიანი ქალები არიან დაჩაგრულები. საკითხთან მიმართებით საჭიროა სიღრმისეული ანალიზის გაკეთება, რათა რეალური განსხვავებები იყოს ცნობილი ჩავგრასა და საბურველის ტარებასთან დაკავშირებით. მოდერნიზაციამ და განათლების გაცვლის პროცესმა წარმოქმნა ისეთი წარმოდგენა, რომ თითქოს განათლების მიღებას თან უნდა მოჰყოლოდა მუსლიმი ქალების ემანსიპაცია, მათ შორის საბურველის მოხდა (ჰუდფარი, გვ.13). საბურველის ტარება ხშირად აღქმულია

ჩამორჩენილობად და დაბალი კლასის სიმბოლოდ და არსებობდა მოსაზრება, რომ ქალები განათლებასთან ერთად უარს იტყოდნენ საბურველზე.

დასავლურმა კულტურამ ისლამი და მუსლიმური საზოგადოება წარმოაჩინა ერთგვაროვან ჯგუფად, მიუხედავად იმისა, თუ რა სოციალურ, ეკონომიკურ თუ გეოგრაფიულ გარემოში უწევთ მათ ცხოვრება. მათი ცხოვრების ყველა ასპექტის ამხსნელი ისლამი გახდა. თუ დასავლეთი კომპლექსური მიდგომით აღიქმებოდა, ისლამურ კულტურებში მთავარ მიზეზად პოლიტიკურ, კულტურულ, გენდერულ და სხვა საკითხებში მუდმივად ისლამი მოიაზრებოდა. პოპულარული დასავლელი მწერლები ახლოაღმოსავლელ მუსლიმ ქალებს მუდმივად ადარებდნენ და უპირისპირებდნენ დასავლელ ქრისტიან ქალებს. ამასთან, სწორედ დასავლელი კაცები უნდა გამხდარიყვნენ მუსლიმი ქალების მფარველები და მხსნელები (ჰუდფარი, გვ. 11).

საბოლოოდ, დასავლურ საზოგადოებაში ყველაზე ფესვგადგმული დამოკიდებულებები თავსაფრიანი ქალების მიმართ უგულებელყოფს მათ რეალურ საჭიროებებს და ხედვებს. თავსაფრის მოხსნა ავტომატურად დაკავშირებულია ქალების ემანსიპაციასა და გათავისუფლებასთან. ხშირად მუსლიმ ქალებზე დომინანტური წარმოდგენები არ უყურებს იმ კომპლექსურ გარემოს, სადაც მუსლიმ ქალებს უწევთ ცხოვრება და ღრმა კვლევისა და ემპირიული ცოდნის გარეშე ერთგანზომილებიან ჩარჩოში მოაქცევს მათ. აღნიშნული ხედვები ხელს უშლის მუსლიმი თავსაფრიანი ქალების რეალური საჭიროებების დანახვას და, ამასთან, ემანსიპაციის ეგიდით შესაძლოა მუსლიმი ქალების დისკრიმინაცია ხდებოდეს.

## მეთოდოლოგია

კვლევა მიზნად ისახავს აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ჰიჯაბიანი ქალების გამოწვევების შესწავლას. კვლევაში შეიძლება გადმოცემული იყოს წარმოშობით სხვა რეგიონიდან, თუმცა, ამჟამად, აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალების გამოცდილებებიც. ყურადღება გამახვილდება ისეთ შემთხვევებზე, სადაც თავს იჩენს ნეგატიური თუ დადებითი დამოკიდებულებები თავსაფრის ტარებასთან დაკავშირებით; თუმცა, ძირითადად, კვლევა მიმართულია რამდენიმე სივრცითი განზომილების შესწავლისკენ, ესენია: სოციალურ, საგანმანათლებლო და დასაქმების ადგილები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა არ მოიცავს არათავსაფრიანი მუსლიმი ქალების გამოცდილებების გაზიარებას, რადგან ისინი სხვა გამოწვევების წინაშე დგანან.

**კვლევის მიზანი:** *აჭარაში მცხოვრები 18-30 წლის მუსლიმი ქალების გამოწვევების შესწავლა თავსაფრის ტარებასთან დაკავშირებით სოციალურ, საგანმანათლებლო და დასაქმების სივრცეებში.*

**კვლევის ობიექტი:** *აჭარაში მცხოვრები 18-30 წლის მუსლიმი თავსაფრიანი ქალები.*

**კვლევის ამოცანები:**

- *აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალების გამოწვევების შესწავლა თავსაფრის ტარებასთან დაკავშირებით სოციალურ, საგანმანათლებლო და დასაქმების სივრცეებში.*
- *აჭარის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქში მცხოვრები თავსაფრიანი ქალების გამოცდილებების შესწავლა.*

**კვლევის კითხვარი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული:**

1. როგორია აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალების გამოცდილებები თავსაფრის ტარებასთან დაკავშირებით?
2. რა დამოკიდებულებებს აწყდებიან მუსლიმი თავსაფრიანი ქალები სოციალურ, საგანმანათლებლო და სამუშაო სივრცეებში?
3. ჰქონია თუ არა დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს ადგილი თავსაფრის ტარების გამო სოციალურ, საგანმანათლებლო და სამუშაო სივრცეებში?

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, რათა სიღრმისეულად შეგვესწავლა აჭარაში მცხოვრები მუსლიმი ქალების გამოცდილებები თავსაფრის ტარებასთან დაკავშირებით. კვლევის ინტერესია სოციალურ, საგანმანათლებლო და დასაქმების სივრცეებში საზოგადოების დამოკიდებულებების შესწავლა თავსაფრის მატარებელი ქალების მიმართ და არსებობის შემთხვევაში დისკრიმინაციული ფაქტების გამოკვეთა. გამოყენებულია ფენომენოლოგიური დიზაინი, რათა უკეთ შეგვესწავლა მუსლიმი ქალების გამოცდილებები თავსაფრის ტარებასთან დაკავშირებით. ამრიგად, აღნიშნული მეთოდის გამოყენებით გვსურდა, თითოეული რესპონდენტის გამოცდილება და გამოწვევა სათანადოდ წარმოგვედგინა კვლევაში. სულ, ჯამში ჩატარდა 14 სიღრმისეული ინტერვიუ, თითოეულის ხანგრძლივობა მერყეობდა 29-77 წუთის ფარგლებში.

## შერჩევა

კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი - ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები. თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გამოყენებულია არაალბათური, კერძოდ, - ჰეტეროგენული შერჩევა. არაალბათური შერჩევა გამოიყენება თვისებრივი კვლევის დროს, როცა მიზანმიმართულადაა შერჩეული სამიზნე ჯგუფის წევრები, რომლებიც ემპირიულ კვლევაში იღებენ მონაწილეობას. ჰეტეროგენული შერჩევა გამოიყენება მაშინ, როცა მიზანია სხვადასხვა

ერთობლიობის საერთო მახასიათებლების აღმოჩენა, თუმცა, იმავდროულად, მათი უნიკალური თუ განსხვავებული თავისებურებების წარმოჩენის შესაძლებლობებს იძლევა. ამრიგად, ჰეტეროგენული შერჩევა აღნიშნულ კვლევაში გამოიყენება სხვადასხვა გამოცდილების მქონე ქალების შესასწავლად, კერძოდ: შესწავლილია დასაქმებული ან შინშრომით დაკავებული ქალების პერსპექტივები, იდენტიფიცირებულია მათი განმასხვავებელი და საერთო მახასიათებლები.

როგორც ირკვევა, განსხვავებული გამოცდილებები აქვთ საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ქალებს თავსაფრის ტარებასთან დაკავშირებით. ამრიგად, აღნიშნული განსხვავებები გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ, როგორი დამოკიდებულებები არსებობს მუსლიმი თავსაფრიანი ქალების მიმართ სოციალურ, საგანმანათლებლო და დასაქმების სივრცეებში.

კვლევის სამიზნე ჯგუფთან / რესპონდენტებთან დასაკავშირებლად გამოყენებულია მიზნობრივი შერჩევა, შემდეგ კი თოვლის გუნდის მეთოდის საშუალებით, მოხდა ინფორმანტებთან დაკავშირება. ასევე, თოვლის გუნდის მეთოდით, შესაძლებელი გახდა მუსლიმი ქალებიდან სხვა რელევანტურ თავსაფრიან ინფორმანტებთან დაკავშირება, რაც დაგვეხმარა საჭირო ინტერვიუების ჩაწერაში.

როგორც აღინიშნა, კვლევის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანი იყო, გამოგვეკვეტა სხვადასხვა გარემოში მცხოვრები მუსლიმი თავსაფრიანი ქალების გამოცდილებები, რათა განსხვავებული პერსპექტივები და გამოცდილებები დაგვეჩვენა. ამრიგად, რესპონდენტები შეირჩენ გეოგრაფიული ნიშნით და გამოიკითხნენ როგორც ბათუმსა და ქედაში, ასევე ხულოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა თავსაფრიანი მუსლიმი ქალები მეტწილად ცხოვრობენ ბათუმში, სწორედ ამიტომ შეირჩა რესპონდენტების უმეტესობა ბათუმიდან. გამოკითხული 14 რესპონდენტიდან ხულოში ცხოვრობდა 4, ქედაში 1, ხოლო ბათუმში 9 რესპონდენტი. ასევე, 5 რესპონდენტი დაოჯახებულია, დანარჩენი კი დაუოჯახებელი. გამოკითხული ინფორმანტებიდან 2 აქვს უმაღლესი განათლება მიღებული, 2 რესპონდენტი ამჟამად

სწავლობს ბაკალავრის საფეხურზე, 6 მათგანს აქვს საშუალო განათლება დასრულებული, დანარჩენ 4 რესპონდენტს საშუალო განათლება არ მიუღია. ეს მახასიათებლები საშუალებას იძლევა სხვადასხვა გამოცდილების მქონე ქალების გამოწვევები უფრო სრულყოფილად აღიწეროს.

კვლევაში გამოთქმული პოზიციები ეყრდნობა როგორც ხულოსა და ქედაში, ისე ბათუმში მცხოვრები მუსლიმი თავსაფრიანი ქალების შეხედულებებსა და გამოცდილებებს. ასევე აღსანიშნია, რომ გეოგრაფიულად - ხულოში, ქედასა და ბათუმში - მცხოვრები ქალების გამოწვევები განსხვავებულია, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმ ქალებს ერთნაირი კულტურული და ისტორიული მახასიათებლები გააჩნიათ.

## შეზღუდვები

კვლევის დაწყებისას, ქვეყანაში არსებული კოვიდვითარება საკმაოდ სტაბილური იყო, თუმცა, ველზე მუშაობის დროს დაინფიცირების მაჩვენებელმა იმრავლა. სავლეს სამუშაოების განხორციელებისას, რამდენიმე რესპონდენტმა გამოთქვა კოვიდის გადადების გამო მღელვარება და შიში, ინტერვიუების რეგულაციების დაცვით ჩატარების მიუხედავად. აგრეთვე, გამოწვევა იყო რესპონდენტების სიმწირე, რადგან, როგორც კვლევის დროს აღმოჩნდა, აჭარაში მცხოვრები 18-30 წლის მუსლიმი თავსაფრიანი ქალები საკმაოდ მცირე რაოდენობით ცხოვრობენ. თავსაფრიანი ქალები მეტწილად დასახლებულნი არიან მთიან აჭარაში და მათი უმრავლესობა 30 წელს ზემოთაა.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო უნდობლობის ფაქტორიც. რესპონდენტები მეტწილად უნდობლობას გამოხატავდნენ ორგანიზაციის მიმართ, რის გამოც გვიწევდა ნაცნობი ადამიანების დახმარება და რესპონდენტების დარწმუნება, რათა მათ ინტერვიუზე თანხმობა განეცხადებინათ. აღსანიშნია, ხულოში არსებული

მუსლიმ ქალთა სასწავლებლების მნიშვნელობა, სადაც ცხოვრობენ სკოლის მოსწავლე გოგონები. მათ ჰყავთ პედაგოგები, რომლებიც ატარებენ თავსაფარს. მათთან კომუნიკაციის დამყარება არაერთხელ ვცადეთ, თუმცა უარი განაცხადეს ინტერვიუს ჩაწერაზე, მიზეზს კი არ ასახელებდნენ. მნიშვნელოვანი ფაქტია ასევე ის, რომ ველზე მუშაობის პერიოდი დაემთხვა საზაფხულო არდადეგებს, რის გამოც ბათუმში მცხოვრები მუსლიმი ქალების ნაწილი იმყოფებოდა შვებულებაში. ამავდროულად, საზაფხულო არდადეგების გამო სწავლის პერიოდი იყო დასრულებული, ამიტომ სოფლებსა თუ ქალაქში მცხოვრები მუსლიმი ქალები არ იმყოფებოდნენ საცხოვრებელ ადგილზე. ასევე, ხულოში მცხოვრები შინშრომით დაკავებული ქალების ნაწილი იალაღებზე მთაში იმყოფებოდა, რაც ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა რესპონდენტების მოძიების პროცესში.

## კვლევის ძირითადი მიგნებები

### *მუსლიმი ქალების თვითაღქმა და თავსაფრის ტარების პრაქტიკა*

თავსაფრიანი მუსლიმი ქალების რელიგიური თვითაღქმა მეტწილად ერთმანეთის მსგავსია, რადგან გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა ერთ კულტურულ გარემოში გაიზარდა, სადაც ოჯახის უმრავლესობა მუსლიმია და, ამავდროულად, მისდევენ მუსლიმურ წეს-ჩვეულებებს. თუმცა, აღსანიშნია, რომ ერთ-ერთი რესპონდენტის ოჯახი არის შერეული (მუსლიმი და მართლმადიდებელი ქრისტიანი) რელიგიური მრწამსის, თუმცა, ამას რელიგიური იდენტობის თვითაღქმაზე ხელი არ შეუშლია.

უმეტესწილად, მუსლიმი ახალგაზრდები თავს აღიქვამენ მორწმუნე პრაქტიკოსებად, რომლებიც დღეში 5-ჯერ აღასრულებენ ლოცვას და მისდევენ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს ხშირად აღნიშნავდნენ, რომ რელიგიურ სასწავლებლებში აქვთ არაფორმალური განათლება მიღებული, რაშიც მოიაზრება სოფლის მეჩეთში საკვირაო სასწავლებლებზე დასწრება. თუმცა, რესპონდენტების ნაწილი ფორმალური განათლების მისაღებად უცხოეთში, თურქეთში იყო წასული. სწორედ აღნიშნული გარემოებები უწყობდა ხელს მათ რწმენის გაცნობიერებაში.

მუსლიმი ქალების იდენტობის გააზრებისას, რელიგიურ თვითაღქმასთან ერთად, მნიშვნელოვანია თავსაფრის ტარების გადაწყვეტილების მიღების საკითხი. რესპონდენტების სრული უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ჰიჯაბის ტარება მათი სურვილია და ამ გადაწყვეტილებაში არავის არ მიუძღვის წვლილი. თითოეულმა რესპონდენტმა განსხვავებულ ასაკში მიიღო თავსაფრის ტარების გადაწყვეტილება, თუმცა, მათი უმრავლესობა სრულწლოვანი იყო.

რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ თავსაფრის ტარების გადაწყვეტილებას ოჯახის წევრების მხრიდან არ მოჰყოლია დადებითი დამოკიდებულება.: „*ოჯახის წევრები ფიქრობდნენ, რომ არ უნდა მეტარებინა ჰიჯაბი, რადგან ამის გამო შემექმნებოდა პრობლემები, ვერ გავუძლებდი ამ წნეხს, ვერ გადავლახავდი ბარიერებს და პრობლემებს შემექმნიდა საზოგადოებასთან ურთიერთობაში*“ (#3 რესპონდენტი, 20 წლის). მსგავს შეხედულებებზე საუბრობდა რესპონდენტების უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რომ მათი დედა თავად ატარებდა თავსაფარს თუ არა. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის წევრების მსგავსი დამოკიდებულება გამოწვეულია თავსაფრიანი ქალების მიმართ საზოგადოებაში არსებული ნეგატიური დამოკიდებულებების გააზრებით. მათ პოზიციას პრევენციული მიზანი ჰქონდა, რადგან ოჯახის წევრი ქალებისთვის აერიდებინათ სხვადასხვა სახის დისკრიმინაციული და დამამცირებელი დამოკიდებულება.

რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ ოჯახში მხოლოდ მათ ახურავთ თავსაფარი, ნაწილის შემთხვევაში კი დედაც ატარებს მუსლიმურ რელიგიურ ატრიბუტს. ინტერვიუებიდან ვიგებთ, რომ თავად ინფორმანტების გადაწყვეტილება იყო თავსაფრის ტარება, ამაში არ მიუძღვის არანაირი წვლილი ოჯახის წევრებს და ნათესავებს, მათ შორის არც დედას. აღნიშნულ ნარატივს ამყარებს არაფორმალურ თუ ფორმალურ გარემოში მიღებული რელიგიური განათლება და სრულწლოვნობის პერიოდში მიღებული გადაწყვეტილება თავსაფრის ტარებასთან დაკავშირებით.

შეიძლება ითქვას, რომ მუსლიმი თავსაფრიანი ქალები თავს აღიქვამენ პრაქტიკოს მორწმუნეებად, რომლებმაც სხვადასხვა ასაკში მიიღეს თავსაფრის ტარების გადაწყვეტილება. თითოეული მათგანი აღნიშნავს, რომ თავისი სურვილით მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, თუ რას მოუწოდებდნენ ნათესავები და ოჯახის წევრები.

### *სოციალური სივრცეები თავსაფრიანი ქალებისთვის*

მუსლიმი თემი საზოგადოებაში თვითპრეზენტაციის დროს ხშირად აწყდება სხვადასხვაგვარ ნეგატიურ დამოკიდებულებას. რელიგიური იდენტობა, სქესი, მთიანი წარმოშობა ერთმანეთთან კოლერაციაში თუ ცალ-ცალკე ყველაზე მოწყვლადს ხდის მუსლიმ თავსაფრიან ქალებს. შესაძლებელია ყველაზე მეტად მათ მიმართ ვლინდებოდეს ნეგატიური დამოკიდებულებები, რადგან თავსაფარი/საბურველი, როგორც ატრიბუტი საზოგადოებას მიაჩნდება რელიგიურ იდენტობაზე.

გამოკითხული რესპონდენტებიდან სრული უმრავლესობა ასახელებდა, რომ თავსაფრის ტარების გამო ერთხელ მაინც ყოფილა დისკრიმინაციული გარემოს მსხვერპლი. ძირითადად, ქალების მიმართ დამამცირებელ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ჰქონდა ადგილი, თუმცა, რამდენიმე რესპონდენტმა, მათ შორის,

გაიხსენა ფიზიკური ძალადობის ფაქტების შესახებაც. ასევე, ყველაზე ხშირად დაპირისპირებებს და სიტყვიერ შელაპარაკებას ადგილი ჰქონია ქუჩაში, ბულვარის ტერიტორიაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საბაჟო და სავაჭრო სივრცეებში.

ყველაზე ხშირად აჭარელ მუსლიმებს მოიხსენიებენ „თათრებად“, რაც მათთვის საკმაოდ მგრძობიარე საკითხია, რადგან დამამცირებელ კონოტაციას ატარებს: „როცა ბულვარში ვსეირნობდი, ხშირად წამომამახებდნენ: „შენ თათრო“, „თურქო“, წაეთრიე, საიდანაც მოსულხარ“ (#6 რესპონდენტი 25 წლის). საზოგადოების წევრები ხშირად მოუწოდებენ ქალებს, რომ ისტორია ისწავლონ და დაუბრუნდნენ მათ ტრადიციულ რელიგიას. მსგავს ნარატივებს ქალები თავს არიდებენ ან კიდევ უხსნიან, თუ რატომ ატარებენ თავსაფარს და რატომ არ არიან თათრები. სიტყვა თათარი მუსლიმებისთვის შეურაცხმყოფელია, სწორედ ამიტომ აქვთ აღნიშნულ სიტყვასთან მიმართებით კრიტიკა. ამასთანავე, ხშირია მოწოდებები გაქრისტიანებასთან დაკავშირებით, რომ უნდა შეიცვალონ სარწმუნოება, რათა არ იყვნენ „მტრის“ რელიგიაზე. როგორც აღმოჩნდა, მსგავსი აღქმები ქალების მენტალურ ჯანმრთელობაზე მკვეთრად აისახება, მეტიც ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისიც განაცხადა, რომ მსგავსი ფაქტის შემდეგ კვირები სახლიდან არ გამოდიოდა. შემდეგ კი მან უმაღლეს სასწავლებელში სწავლა გააგრძელა ისტორიის ფაკულტეტზე, რათა საკუთარი ცოდნა გაემყარებინა.

გარე სივრცეებში, ყველაზე ხშირად, თავსაფრიანი ქალები დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს აწყდებიან ქუჩასა და ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე: „მქონია და ახლაც მაქვს შემთხვევები, როცა ბიჭები მხედავენ, ზურგს უკან მაგინებენ, უთქვამთ, რომ წავეთრიო იქ, საიდანაც ჩამოვედი, მუდმივად მოდის მათგან კომენტარები, ნეტა თავსაფრის ქვეშ რა მაქვს“ (#4 რესპონდენტი, 29 წლის). ნეგატიურ დამოკიდებულებებს, ხშირ შემთხვევაში, ქალები სიტყვიერად პასუხობენ და ცდილობენ, აუხსნან, თუ რატომ ატარებენ თავსაფარს და უთხრან, რომ ისინი ქართველები არიან. რაც შეეხება ბულვარის მიმდებარე ტერიტორიას, იქ თავს იყრის სხვადასხვა ეროვნების და რელიგიური მრწამსის ადამიანი, სწორედ ამიტომ არის მწვავედ ნეგატიური დამოკიდებულებები შესამჩნევი ტურისტულ ადგილებში.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ მომზადებულ სტატიაში რესპონდენტები ასახელებენ მათ მიმართ გამოყენებულ დამამცირებელ ფრაზებს. „შემონძილი“ და „ფუ რას გავს“, (იხ. ლინკი)<sup>2</sup> რომელიც მათთვის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია.

დახურული სივრცეები, სადაც მუსლიმი ქალები ყველაზე ხშირად აწყდებიან ნეგატიურ ან არარელევანტურ მოპყრობას საზოგადოების მხრიდან, არის სატრანსპორტო, სავაჭრო, სალოცავი და საბაჟო სივრცეები. რესპონდენტები ჩამოთვლილთაგან ყველაზე დაუცველ სივრცედ მოიაზრებენ სატრანსპორტო გარემოს, სადაც სიტყვიერი შეურაცხყოფა შესაძლებელია ფიზიკურ თავდასხმაში გადაიზარდოს: *„ერთხელ ავტობუსში ვიყავი მარტო და ვიღაც ბიჭები ამოვიდნენ. მარტო მე და მძღოლი ვიყავით ამ დროს. ჯერ, თავიდან, ჩემს სკამს დაუწყეს ფეხების რტყმა და შემდეგ თავსაფარზე მომქაჩეს, ცდილობდნენ თავსაფრის მოხსნას. ამ დროს დავიწყე კვილი, გავაჩრეე ავტობუსი და ჩამოვედი“* (#7 რესპონდენტი, 20 წლის).

სულ რამდენიმე რესპონდენტმა ისაუბრა ფიზიკურ თავდასხმაზე, მაგრამ თითოეულმა აღნიშნა, რომ იქ მყოფი ხალხისგან არ ჰქონიათ ძალადობრივი ფაქტის დროს მხარდაჭერა, პირიქით, - დუმილს ამჯობინებენ. დამცირების ან ფიზიკური თავდასხმის დროს, იქ მყოფი საზოგადოების უმოქმედობა მიუთითებს ნაკლებ სოციალურ პასუხისმგებლობაზე ან იმავე მოსაზრების მხარდაჭერაზე, რომელსაც მოძალადე ან მჩაგვრელი ახორციელებს.

მუსლიმ ქალებს დისკომფორტი ექმნებათ საზღვრის გადაკვეთის დროსაც, რადგან საათობით უწევთ ლოდინი და ზოგჯერ სპეციალურ შემოწმებასაც კი გადიან: *„თავდაფარებული რომ გადავდიოდი საზღვარზე, მებაჟემ მითხრა, რომ მომეხსნა თავსაფარი, მაშინ არ ვიცოდი და შემდეგ გავიგე, რომ საჭირო არ არის თავსაფრის მოხსნა, რადგან შემოწმებისას მთავარია სახის დაფიქსირება“* (#9 რესპონდენტი, 29 წლის). მსგავს დამოკიდებულებებსა და არარელევანტურ მოპყრობაზე ყურადღებას ამახვილებს

---

<sup>2</sup><https://bit.ly/3SRdOf4>

რამდენიმე რესპონდენტი, თუმცა, როგორც გაირკვა, მათ აქამდე არ ჰქონდათ ცოდნა თავიანთი უფლებების შესახებ, ამიტომ თანხმდებოდნენ თავსაფრის მოხსნას. თავსაფარი, რომელსაც აჭარელი მუსლიმები ატარებენ, არის ჰიჯაბი, რაც საშუალებას იძლევა სახით მოხდეს ადამიანის იდენტიფიცირება.

სივრცეებსა და გამოწვევებზე საუბრისას ერთმა რესპონდენტმა დაასახელა მეჩეთში არსებული მდგომარეობა, რომელიც მისთვის პრობლემური აღმოჩნდა: „*ძალიან დიდი პროტესტი მაქვს მეჩეთებში ქალების სივრცე რომ არ არის. ქალს უნდა ჰქონდეს უფლება, რომ მეჩეთში თავისუფლად შევიდეს და ილოცოს. არ მომწონს ის, რომ სქესის მიხედვით აქვთ მინიჭებული მეჩეთში ლოცვის შესაძლებლობა და ძალიან მინდა ასე არ იყოს*“ (#11 რესპონდენტი). რესპონდენტი წუხს ქალსა და კაცს შორის არსებულ დიფერენცირებულ დამოკიდებულებაზე, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა პარასკევის ლოცვის დროს. პარასკევის ლოცვისას მეჩეთში თავს იყრის მუსლიმი მრევლი, სადაც მხოლოდ კაცები ადასრულებენ კოლექტიურ ლოცვას.

დასკვნის სახით, *უნდა ითქვას, რომ გამოკითხული რესპონდენტების სრულ უმრავლესობას ერთხელ მაინც გამოუცდია საზოგადოებისგან მომდინარე ნეგატიური დამოკიდებულება. ყველაზე ხშირად ქალები დისკრიმინაციულ მოპყრობას აწყდებიან დახურულ (სატრანსპორტო) და გარე (ბულვარი, ქუჩა) სივრცეებში. რამდენიმე რესპონდენტს ჰქონია პრაქტიკა სიტყვიერი, დამამცირებელი დამოკიდებულებების გარდა ფიზიკური შეურაცხყოფის, სადაც იქ მყოფი საზოგადოების მხრიდან არ მოპყვლია არანაირი რეაქცია.*

### *საგანმანათლებლო სივრცეები თავსაფრიანი მუსლიმი ქალებისთვის*

განხორციელებული კვლევის საფუძველზე, შესაძლებელია საგანმანათლებლო პროცესებში ჩართული მუსლიმი თავსაფრიანი ქალების ზოგადი რაოდენობრივი

მაჩვენებლის გამოკვეთა. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული 14 რესპონდენტიდან სრული საშუალო განათლება აქვს მიღებული 10 მათგანს, სხვა რესპონდენტებმა კი სწავლა შეწყვიტეს სხვადასხვა მიზეზის გამო. რამდენიმე რესპონდენტი დაოჯახებისას არასრულწლოვანი იყო, ხოლო რამდენიმე მათგანმა კი მე-9 კლასის დასრულებისთანავე კოლეჯში ან უცხოეთში გააგრძელა განათლების მიღება. სრული უმაღლესი განათლება აქვს მიღებული 2 ინფორმანტს, ხოლო გამოკითხული 2 მუსლიმი ქალი ამჟამად სწავლობს უნივერსიტეტში. 6 რესპონდენტს აქვს დასრულებული პროფესიული სასწავლებელი. ხაზგასასმელია. რომ თითოეულმა ქალმა თავისი სურვილით მიიღო პროფესიული გადაწყვეტილება, თუ სად და რომელ ფაკულტეტზე გააგრძელებდნენ სწავლას. ყველა რესპონდენტს ერთი საერთო გამოცდილება აქვს, კერძოდ, არცერთი მათგანი არ არის საკუთარი პროფესიით დასაქმებული.

სკოლის გამოცდილებების განხილვამდე, აღსანიშნია, რომ რესპონდენტების უმეტესობა 18 წლამდე არ ატარებდა თავსაფარს, ამიტომ ისინი ნაკლებად აწყდებოდნენ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს სასკოლო სივრცეში. სწორედ ამიტომ, ამ თავში განხილული იქნება მხოლოდ იმ ინფორმანტების გამოცდილებები, რომლებიც სკოლაში ატარებდნენ თავსაფარს.

*”სკოლაში ვსწავლობდი როცა ჰიჯაბის ტარება დავიწყე. როცა ამის შესახებ ვაცნობე სკოლას, უარი მითხრეს და ერთი წელი არ ვატარებდი სკოლაში ჰიჯაბს. შემდეგ, მანდატურმა ამიხსნა, რომ შინაგანაწესის და კანონის მიხედვით, არ ჰქონდა არავის უფლება, ჩემთვის ჰიჯაბის ტარება აეკრძალა. ამის შემდეგ, ის თავად დაელაპარაკა ჩვენს დირექტორს და შემდეგ მომცეს უფლება, სკოლაში თავსაფარი მეტარებინა. (#5 რესპონდენტი, 21 წლის).*

დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამოვლენა მოხდა სკოლაში, მანდატურის ჩარევით, საკმაოდ გვიან, თუმცა საკითხი მოგვარდა. აქვე აღსანიშნია საინტერესო ფაქტი, როცა დირექტორმა, პრევენციის მიზნით, მოსწავლეები გააფრთხილა ახალგაზრდა გოგოს თავსაფარი არ გამხდარიყო მისი ბულინგის საგანი. დირექტორის

ქცევას ჰქონდა პრევენციური მიზანი, თუმცა, როგორც გაირკვა, დირექტორის დარიგება არ აღმოჩნდა საკმარისი, მაინც გაგრძელდა მის მიმართ ნეგატიური და დამამცირებელი დამოკიდებულებები მოსწავლეების თუ მასწავლებლების მხრიდან.

სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მხრიდან განხორციელებული ჩაგვრისა და დისკრიმინაციის საჩვენებლად, აუცილებელია, განვიხილოთ შემდეგი ფაქტი: „ზაფხულში დავიწყე ჰიჯაბის ტარება და სექტემბერში, როცა სკოლა დაიწყო, არ შემიშვეს ჰიჯაბით სკოლაში. მე ვიყავი განსხვავებული და მე უნდა დამეცვა წესები, ამ ფორმით სკოლის წესებს ვარღვევდი. რეალურად, ეს წესები არ არსებობდა და არაფერი მიკრძალავდა სკოლაში ჰიჯაბით მისვლას; უბრალოდ, ეს სკოლის დამოკიდებულება იყო. შემომთავაზეს, რომ სკოლის ეზომდე მეტარებინა ჰიჯაბი და როცა სკოლაში შევიდოდი მომეხსნა, რადგან შეიძლება სკოლაში ბევრი მიმბაძველი გამჩენოდა და მუსლიმი თავსაფრიანი გოგონების რაოდენობა გაზრდილიყო.... ჩემმა სკოლემა მითხრა, რომ მასწავლებელს უთქვამს ერთხელ, მე ამ სკოლიდან ისე არ წავალ, რომ ეს გოგო არ გავაქრისტიანო. ჩემს სკოლაში მასწავლებლები მოსწავლეებს ეუბნებოდნენ „აბა ბავშვებო ვის რა ხატებიც გაქვთ მოიტანეთ, რომ ხატების კუთხე გავაკეთოთ და ვილოცოთ“. სკოლის სივრცეში ბევრი ასეთი ადგილი იყო, ვერ გაიგებდი ეკლესია იყო თუ სკოლა და აქედან გამომდინარე ეს იყო მიზეზი ჩემი სკოლაში არ შეშვების ჰიჯაბით“ (#7 რესპონდენტი, 20 წლის).

ხაზგასასმელია, რომ ინფორმანტის სკოლაში საკმაოდ ბევრი პრობლემა იჩენს თავს, ესენია: დისკრიმინაცია, არარელევანტური მოპყრობა, დამცირება, მანიპულაცია, არარელევანტური სასკოლო გარემო და სხვა. სკოლის დირექციის დამოკიდებულება თავსაფრიანი ქალის მიმართ ცალსახად დისკრიმინაციულია, რადგან ჰიჯაბის ტარება აღქმულია „სკოლის წესების დარღვევად“. დირექტორის შეთავაზება თავსაფრის მოხსნასთან დაკავშირებით და საგანმანათლებლო პროცესებში ისე ჩართულობა, მიუთითებს არარელევანტურ მოპყრობას, სადაც ასევე იკვეთება ისლამოფობიური დამოკიდებულება. დირექტორს ჰქონდა გაუცნობიერებელი შიში, რომ შესაძლებელი იყო ამ პრევენდენტს მოჰყოლოდა სხვა მოსწავლეების წახალისება თავსაფრის ტარებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მოწოდებას ხატების მოტანასთან

დაკავშირებით, არის მანიპულაციური ქმედება თავსაფრიანი მოსწავლის მიმართ, ხოლო სკოლის ინტერიერი მიუთითებს არასათანადო სასკოლო გარემოზე.

საუნივერსიტეტო გარემოც არაა დაცლილი ისლამოფობიური შეხედულებებისგან, მათ შორის არც ლექტორებს და არც სტუდენტებს არ აქვთ დადებითი დამოკიდებულება თავსაფრიანი ქალების მიმართ. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს ფაქტს, როცა ონლაინ სივრციდან დაუბრუნდა სააუდიტორიო სწავლებას, ლექტორმა უცნაური რეპლიკით მიმართა. თავიდან ლექტორი ჩაეძია, ნამდვილად იყო თუ არა მისი სტუდენტი და მერე ჰკითხა „ცხვირ-პირი რატომ არ უჩანდა“ (#5 რესპონდენტი, 21 წლის). ერთი შეხედვით, შეიძლება, საერთოდ არ ჩანდეს ამ ფრაზაში რაიმე საყურადღებო, თუმცა, რესპონდენტი ატარებს ჰიჯაბს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არ აქვს სახე დაფარული. ამ ფრაზით ლექტორის მხრიდან შეიმჩნეოდა დამამცირებელი და დამცინავი დამოკიდებულება.

ასევე, ლექტორებისგან შეიმჩნეოდა მიზანმიმართული მოწოდებები სტუდენტების მიმართ, რომ საჭირო იყო ისტორიის კარგად სწავლა. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ ოსმალეთის იმპერიის დაპყრობით ომებზე და იმაზე, თუ როგორ დახოცეს ქრისტიანი ქალები ისლამის მიუღებლობის გამო (#14 რესპონდენტი, 26 წლის). აღნიშნული ატარებს მანიპულაციურ ხასიათს, რომელიც მიმართულია მუსლიმი თემის წარმომადგენლებისკენ, რომ მათ უნდა შეძლონ და გაანალიზონ არსებული ისტორიული გამოცდილება, მათ შორის, ოსმალეთის იმპერიის დაპყრობითი ომები.

აქვე შეგვიძლია, პარალელი გავავლოთ სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევასთან, სადაც იკვეთება სკოლებსა და უნივერსიტეტებში არსებული ნეგატიური დამოკიდებულებები და დისკრიმინაციული გამონათქვამები. ამგვარი დამოკიდებულებები მეტწილად მასწავლებლებისა და ლექტორებისგან მოდის, რაც კიდევ უფრო მეტად ამწვავებს საკითხის პრობლემურობას (შალვაშვილი, 2021, გვ. 65).

როგორც იკვეთება, ეთნოკონფესიური ნარატივები უმაღლეს სასწავლებლებშიც საკმაოდ მყარადაა გამჯდარი, სადაც ქართველი აღქმული და მოაზრებულია მართლმადიდებელი კონფესიის წარმომადგენლად: „*მითხრა, რომ შეუძლებელია ვიყო მე ქართველი მუსლიმი. მე უნდა ვიყო ნამდვილი ქართველი მართლმადიდებელი ქალი და ჩემი ჰიჯაბი და რელიგია არის დიდი სირცხვილი*“ (#7 რესპონდენტი, 20 წლის).

ინფორმანტი აპირებდა ადმინისტრაციისთვის ეცნობებინა პროფესორის ისლამოფობურ დამოკიდებულებასა და არსებულ ფაქტზე, თუმცა, ფიქრობდა, რომ კურსელები არ დაუჭერდნენ მხარს. ინფორმანტს ჰქონდა ნეგატიური განწყობა და ეჭვი ეპარებოდა ადმინისტრაციის ობიექტურობაში, რის გამოც აღნიშნული ფაქტი არც გასაჯაროვდა და, შესაბამისად, არც აღმოიფხვრა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საგანმანათლებლო სივრცეებში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში თავსაფრიანი ქალების მიმართ ხშირია დისკრიმინაციული დამოკიდებულებები. სკოლაში, როგორც მასწავლებლების და დირექციის, ისე მოსწავლეების მხრიდან ვლინდება ისლამოფობიური და ნეგატიური დამოკიდებულებები; ხოლო უნივერსიტეტში მეტწილად ლექტორები ავრცელებენ მსგავსი სიძულვილის ენის შემცველ ნარატივებს. ორივე საგანმანათლებლო სივრცეში სხვადასხვა სახის გამოწვევა იჩენს თავს.

### *დასაქმების სივრცეები თავსაფრიანი ქალებისთვის*

ზოგადი დაკვირვებითაც შესაძლებელია შევამჩნიოთ თავსაფრიანი მუსლიმი ქალების ხილვადობის ნაკლებობა დასაქმების სივრცეებში. ეს ტენდენცია შეიმჩნევა როგორც ქალაქებში, ისე მუნიციპალიტეტებში და მსგავსი მდგომარეობაა აჭარაშიც. კვლევა მიმართული იყო სხვადასხვა სექტორში მომუშავე დასაქმებული მუსლიმი ქალების გამოცდილებების შესწავლისკენაც, თუმცა, სამწუხაროდ, მხოლოდ კერძო სექტორში მომუშავე პირებთან შევძელით დაკავშირება, რადგან აჭარაში არ არსებობს

სახელმწიფო სექტორში დასაქმებული თავსაფრიანი მუსლიმი ქალი. გამოკითხული 14 რესპონდენტიდან, ანაზღაურებად სამსახურში ჯამში დასაქმებულია 6 რესპონდენტი, მათგან 4 მათგანი მუშაობს თურქულ კომპანიაში, 1 რესპონდენტი მეგობრის ატელიეში, ხოლო 1 რესპონდენტი კი - მარკეტში.

დისკრიმინაციული გარემოს შეფასებამდე, საინტერესოა, აღნიშნოს სოლიდარობის თემის მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც განხილულია საკითხები უმუშევარი მუსლიმი ქალების პრობლემებსა და მათ წუხილზე სამუშაო სივრცეების ნაკლებობის გამო (აბულაძე, 2021, გვ. 33), რაც შეიძლება რეგიონალურ ჭრილში იქნას განხილული და მოაზრებული იყოს მთიანი მუნიციპალიტეტების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად და პრობლემად.

აღნიშნულ კვლევაში დასაქმებაზე საუბრისას, უმეტესწილად, ქალები წუხდნენ არსებულ მდგომარეობაზე, რომელიც მათ მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებზე მიუთითებს. ხშირად დამსაქმებლები სთავაზობენ ქალებს, რომ, სამუშაოზე აყვანის შემთხვევაში, მათ უნდა მოიხსნან თავსაფარი. დამსაქმებლების მთავარი არგუმენტია მომხმარებლების ნეგატიური განწყობები თავსაფრიანი მუსლიმი ქალების მიმართ. რესპონდენტები წუხდნენ გასაუბრებაზე ყოფნის დროს დამსაქმებლების მხრიდან წამოსულ რეაქციებსა და რიტორიკაზე, რომელიც თავსაფრიანი ქალებისთვის შეურაცხმყოფელია, რის გამოც იძულებულები არიან, დატოვონ გასაუბრების სივრცე.

ერთ-ერთი რესპონდენტი ყვება გამოცდილებებს, რომ სხვადასხვა კომპანიაში ყოფილა გასაუბრებაზე, მენეჯერის პოზიციაზე, თუმცა, არსად არ აიყვანეს: *„ბევრი მცდელობა მქონია მანამდეც და არსად ამიყვანეს, ამიტომ, ვფიქრობ, რომ ჰიჯაბი იყო მთავარი ბარიერი, რის გამოც შანსაც კი არ მაძლევდნენ სხვა კერძო სექტორის დამსაქმებლები“* (#6 რესპონდენტი, 25 წლის). აღნიშნულ რესპონდენტს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული მენეჯმენტის მიმართულებით, თუმცა, დღეს თურქულ კომპანიაში მუშაობს.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ, ხშირად, დამსაქმებლები პირისპირ გასაუბრების დროს არ გამოხატავენ ქალების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას, თუმცა, დასაქმებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ აკონკრეტებენ მათ მიზეზებს: „*მქონია შემთხვევა, როცა მითხრეს, რომ ასეთ მდგომარეობაში ვერ დამსაქმებდნენ, რადგან მათაც შეექმნებოდათ პრობლემები*“ (#13 რესპონდენტი, 29 წლის). მდგომარეობა, რომელიც განასხვავებს მუსლიმ ქალებს სხვა ადამიანებისგან, არის თავსაფარი, სწორედ აღნიშნულს მოიაზრებდა დამსაქმებელი. რესპონდენტის მოსაზრებით ადამიანის რესურსების მართვის სპეციალისტები ერიდებიან თავსაფრიანი ქალების დასაქმებას, რადგან შესაძლებელია კომპანიის უფროსებთან შეექმნათ პრობლემა. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი სისტემების შიდა პოლიტიკა არის დისკრიმინაციულად განწყობილი მუსლიმი ქალების მიმართ.

რესპონდენტების ნაწილში შეიმჩნევა ნიჰილისტური დამოკიდებულებები საჯარო სექტორში დასაქმებასთან დაკავშირებით, რადგან მსგავს პრეცედენტს არ ჰქონია ადგილი აჭარაში: „*მე, მუდმივად მაქვს ეს კითხვა, ამდენი ქალი სწავლობს და ბოლოს მთავრდება მათი კარიერა ან დიასახლისები ხდებიან ან საოჯახო საქმეში არიან ჩართულნი. ამ ქალებს ეშინიათ, რომ უარყოფილები იქნებიან, რადგან ასეთი ბევრი ფაქტი არსებობს და უკვე აღარ ცდიან, თუნდაც საჯარო სექტორში. თავსაფრიან ქალებს უწევთ ჯერ კაცებს გაუწიონ კონკურენცია და შემდეგ არათავსაფრიან ქალებს, მიუხედავად ერთნაირი კვალიფიკაციისა*“ (#4 რესპონდენტი, 29 წლის). როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტების უმეტესობა დაკავებულია საოჯახო საქმიანობით და სოფლის მეურნეობით, თუმცა, მათ უმეტესობას ერთხელ მაინც უცდია, უშედეგოდ, სხვადასხვა კომპანიაში მუშაობის დაწყება.

ასევე უნდა აღინიშნოს საინტერესო ტენდენცია, რომელიც თურქულ კომპანიებში დასაქმებას ეხება. გამოკითხული რესპონდენტებიდან 4 ქალი მუშაობს თურქულ კომპანიაში, მათ არ ჰქონიათ პრობლემა არც გასაუბრებისას და არც სამუშაო პროცესში. ისინი ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო და მშვიდ გარემოდ მოიაზრებენ მათ სამუშაო სივრცეს, რადგან არ აწყდებიან დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს.

დასაქმებული ქალები ასევე აღნიშნავენ, რომ საზოგადოებისგან ხშირია ნეგატიური დამოკიდებულებები სამუშაო გარემოშიც: „მომხმარებლები სულ მეკითხებოდნენ, რატომ მეფარა თავსაფარი, პასუხის დაბრუნების შემდეგ ეცინებოდათ“ (#10 რესპონდენტი, 29 წლის). მსგავსი დამოკიდებულებები ხშირ შემთხვევაში მოტივაციას უკარგავდა რესპონდენტებს, თუმცა, დამსაქმებლები პრევენციულ ზომებს არ მიმართავდნენ.

ასეთ ფაქტებზე ხაზგასმულია სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ მომზადებულ კვლევაშიც. როგორც რესპონდენტები ამბობენ, თავსაფარიანი ქალები დამსაქმებლების მხრიდან მოაზრებულნი არიან „არაშრომისუნარიანებად“ (შალვაშვილი, 2021, გვ. 33). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრება გამყარებული არ არის და დამსაქმებლები წინასწარ განწყობებზე დაფუძნებით ხელმძღვანელობენ.

### *ქალების გამოცდილებები მუნიციპალურ და ქალაქურ პირობებში*

გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა წარმოშობით მთიანი აჭარიდან არის. ნაწილი მათგანი ცხოვრობს მთიან მუნიციპალიტეტში, ნაწილი კი ბათუმში. ამრიგად, კვლევა მიზნად ისახავდა მათი შეხედულებები და გამოცდილებები შეესწავლა დისკრიმინაციულ ფაქტორებთან დაკავშირებით, როგორც მუნიციპალურ, ისე ქალაქის დონეზე.

როგორც აღმოჩნდა, ზემოთ აღნიშნულ სივრცეებში, საკმაოდ ხშირია სხვადასხვა სახის დისკრიმინაციული გამოვლინებები. ყველაზე ხშირად აჭარაში, კონკრეტულად, ბათუმში საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო თუ დასაქმების სივრცეებში აწყდებიან თავსაფარიანი ქალები დისკრიმინაციულ და დამამცირებელ დამოკიდებულებებს. აღნიშნული შეიძლება აიხსნას მუსლიმი საზოგადოების გეოგრაფიული განფენილობით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მონაცემებით ვიგებთ (სამსახური ს. ს., 2014), რომ მთიან აჭარაში, ხულოში, შუახევში,

ქედასა და ხელვაჩაურში მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს მუსლიმი საზოგადოება. სწორედ ამიტომ, მთიან მუნიციპალიტეტებში ნაკლებადაა თავსაფრიანი ქალების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებები.

საზოგადოების დამოკიდებულება მთიან რეგიონში უფრო დადებითია, სადაც ასევე ნაკლებად აწყდებიან დისკრიმინაციულ ფაქტებს ქალები: *„მაღალმთიან რეგიონებში უფრო მარტივია ჰიჯაბით ცხოვრება, რადგან იქ არავის უკვირს და არც შეურაცხყოფას გაყენებენ ადამიანები. მათთვის გასაგებია, რომ ეს შენი რელიგიური ატრიბუტია. ქალაქში ჰკონიათ, რომ ძალდატანებით ატარებ ჰიჯაბს და ჰკონიათ, რომ ეს ქალები არჩევანს თავად არ აკეთებენ. ამის გამო, დამცინავი დამოკიდებულებები აქვთ“* (#2 რესპონდენტი, 30 წლის).

## დასკვნა

აღნიშული კვლევა ინტერესდებოდა აჭარაში მცხოვრები მუსლიმი თავსაფრიანი ქალების სხვადასხვა სივრცეში გამოცდილებების შესწავლით. კვლევის მიზანი იყო აჭარაში მცხოვრები 18-30 წლის მუსლიმი ქალების გამოწვევების შესწავლა თავსაფრის ტარებასთან დაკავშირებით სოციალურ, საგანმანათლებლო და დასაქმების სივრცეებში. გვსურდა, სხვადასხვა სივრცეში არსებული დისკრიმინაციული გამოცდილებები შეგვესწავლა და თვალსაჩინო გაგვეხადა მკითხველისთვის. ასევე კვლევა ინტერესდებოდა მუნიციპალიტეტში და ქალაქში მცხოვრები ქალების პრაქტიკების განაალიზებით, არის თუ არა მუნიციპალურ და ურბანულ დასახლებაში განხვავებული საზოგადოებრივი დამოკიდებულებები თავსაფრის ტარებასთან დაკავშირებით.

როგორც გაირკვა, რესპონდენტების სრული უმრავლესობა თავს მოიაზრებს პრაქტიკოს მუსლიმად, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეში 5-ჯერ ადავლენენ რელიგიურ ლოცვას და აქტიურად არიან ჩართული ყველა რელიგიურ რიტუალში. მეტწილად

ქალების უმეტესობამ სრულწლოვნობის პერიოდში მიიღო თავსაფრის ტარების გადაწყვეტილება. ინფორმანტების უმრავლესობა რელიგიურ განათლებას იღებდა უცხოეთში ან მათ თემში არსებულ რელიგიურ სასწავლებლებში. ინტერვიუებიდან ვიგებთ, რომ თავსაფრის ტარების გადაწყვეტილება თავად მიიღეს, ამრიგად გააზრებული ჰქონდათ მისი დანიშნულება.

კვლევამ გამოავლინა, რომ გამოკითხული 14 რესპონდენტიდან თითოეული მათგანი ერთხელ მაინც ყოფილა სხვადასხვა სახის დისკრიმინაციის მსხვერპლი. ყველაზე ხშირად თავსაფრიანი ქალები სოციალურ სივრცეებში, განსაკუთრებით ტრანსპორტში და რამდენიმე საჯარო დაწესებულებაში, აწყდებიან დისკრიმინაციულ მოპყრობას. მეტწილად საზოგადოების დამოკიდებულება სიტყვიერი შეურაცხყოფით არის გამოხატული, თუმცა, ყოფილა ფიზიკური თავდასხმის ფაქტიც. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ნაწილი თავსაფრიანი ქალების მიმართ არის ნეგატიურად განწყობილი, რის გამოც მათ საფრთხე ექმნებათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საგანმანათლებლო სივრცეში რესპონდენტებს ჰქონიათ იმის გამოცდილება, როცა სკოლაში მათ არ უშვებდნენ ჰიჯაბის ტარების გამო. საუნივერსიტეტო გარემოში კი ლექტორებისგან, ადმინისტრაციისგან, სკოლის დირექციისა და სტუდენტებისგან შეიმჩნეოდა ფარული თუ პირდაპირი ისლამოფობური დამოკიდებულებები, რაზეც თავსაფრიანი ქალები ხმამაღლა ვერ საუბრობენ. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საგანმანათლებლო სივრცე არ არის დაცლილი ისლამოფობური დამოკიდებულებებისგან, რის გამოც სხვადასხვა სახის დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს აწყდებიან თავსაფრიანი ახალგაზრდები.

დასაქმების სივრცე არის ყველაზე პრობლემური თავსაფრიანი ქალებისთვის. როგორც აღმოჩნდა, საჯარო სექტორში თავსაფრიანი ქალები არ არიან დასაქმებული. ქალები ინტერვიუების დროს აღნიშნავდნენ რომ არც ჰქონიათ მცდელობა, რადგან ნიჰილისტური დამოკიდებულებები გააჩნიათ. ინფორმანტები კერძო სექტორში, მეტწილად, თურქულ კომპანიებში და სანაცნობო მცირე თუ საშუალო ბიზნესში არიან

დასაქმებულნი. დამსაქმებლები გასაუბრებისას ქალებს მეტწილად მიუთითებენ თავსაფრის მოხსნაზე ან კიდევ არიდებენ თავს კითხვაზე პასუხს, თუ რატომ არ ასაქმებენ თავსაფრიან ქალებს. აღნიშნული ფაქტები თავსაფრიან ქალებს ეჭვს უჩენს, რომ დასაქმებაზე უარის მიზეზი მათი თავსაფარია. ამრიგად, ქალები დასაქმების სფეროში ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს, თუმცა არ ცდილობენ სამართლებრივი გზებით პრობლემის აღმოფხვრას, რადგან მათში გამძაფრებულია ნიჰილისტური დამოკიდებულება.

რაც შეეხება მუნიციპალურ და ურბანულ სივრცეებში ქალების სოციალიზაციას, დასაქმებას თუ განათლების მიღების პროცესში ჩართულობას, მეტწილად კომფორტულ გარემოდ მოიაზრებენ მუნიციპალიტეტებს. თუმცა, როგორც მოგვეხსენება მუნიციპალიტეტებში, გასართობი, კულტურული, საუნივერსიტეტო და დასაქმების სივრცეების სიმწირეა, ამიტომ უწყვეტ ბათუმში ცხოვრება და იქ რეალიზება. თუმცა, ბათუმში უფრო ხშირია დისკრიმინაციული დამოკიდებულებები.

კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა და არსებული კვლევები ცხადყოფს, რომ ქალები სხვადასხვა გარემოში განსხვავებულ გამოწვევებს აწყდებიან, მათ შორის დასაქმების თუ საგანმანათლებლო სივრცეებში. გენდერული სტერეოტიპები და თავსაფრიანი ქალების მიმართ არსებული არაერთფეროვანი დამოკიდებულება საზოგადოებაში ამძაფრებს ნეგატიურ შეხედულებებს. ასევე ქალების ჩაგრულად წარმოჩენა ხელს უშლის მათ ინტეგრაციას საზოგადოების სხვადასხვა სივრცეში და პირიქით, ამძაფრებს მუსლიმი თავსაფრიანი ქალების მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს.

პრობლემურია საზოგადოებაში არსებული მოსაზრებები, რომ თავსაფრიანი ქალები არ შეიძლება ემანსიპირებულები იყვნენ და თავსაფრის ტარების გამო, ავტომატურად ჩაგრულები არიან. მუსლიმი ქალების მდგომარეობაზე საუბრისას საჭიროა კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების გათვალისწინება და თავსაფრიანი ქალების მრავალ შრეში დანახვა. ამასთან, ქართველი მუსლიმების მიერ

საბურველის ტარების საკითხი არ არის რაიმე ინსტიტუტის მიერ კონტროლირებული ან დასჯადი და აჭარელ თემში ის ქალების პირადი არჩევანია. პრობლემაა, რომ ქალების ემანსიპირების და გათავისუფლების სახელით მუსლიმ თავსაფრიან ქალებს პრობლემები ექმნებათ სასწავლო, სამუშაო და საჯარო სივრცეებში. პირიქით, საჯარო და კერძო სივრცეებში თავსაფრიანი ქალების ჩართულობის გაზრდა აუცილებელია, რათა დისკრიმინაციული ფაქტები აღმოიფხვრას.

## ბიბლიოგრაფია

აბულაძე, თ. (2021). *მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები ქალების გამოცდილებები კოვიდ პანდემიის პირობებში*. 2021.

გაფრინდაშვილი, ლ., & ბენდელიანი, ნ. (2014). *ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები მაღალმთიან რეგიონებში*. თბილისი.

სამსახური, ს. ე. (n.d.).

სამსახური, ს. ს. (2014). *საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები*.

საქსტატი. (2021). *ქალი და კაცი საქართველოში*. თბილისი.

შალვაშვილი, მ. (2021). *საქართველოში მუსლიმი ქალების ყოფა და მათი ჩაგვრის მრავალშრიანი აღწერა*.

შალვაშვილი, მ. (n.d.). *სოციალური სამართლიანობის ცენტრი*.

ჰუდფარი, ჰ. (n.d.). *საბურველი მათ გონებაში და ჩვენს თავებში: თავის დაფარვის პრაქტიკები და მუსლიმი ქალები*.